ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 388

18 დეკემბერი
"___" _____ 2018 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქ. №34-ის მიმდებარედ არსებული 108000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.18.01.002.260) და ქალაქ თბილისში, ოქროყანის დასახლებაში არსებული 10294 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.18.01.002.263) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „არმლენდერ ასოშიეიტსს" (ს/ნ: №204943357) შორის 2010 წლის 26 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობის გაუქმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ" ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის, 127[2] მუხლის მე-3 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-5 მუხლის და მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქ. №34-ის მიმდებარედ არსებული 108000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.18.01.002.260) და ქალაქ თბილისში, ოქროყანის დასახლებაში არსებული 10294 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.18.01.002.263) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 16 ნოემბრის №18.932.1348 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქ. №34-ის მიმდებარედ არსებული 108000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.18.01.002.260) და ქალაქ თბილისში, ოქროყანის დასახლებაში არსებული 10294 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.18.01.002.263) გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე, შპს „არმლენდერ ასოშიეიტსის" (ს/ნ: 204943357) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირიდან კუს ტბისკენ მიმავალი გზის მიმდებარედ არსებული 2280 კვ.მ. მიწის

ნაკვეთის (ს/კ: 01.14.10.001.008) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. გაუქმდეს სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და შპს „არმლენდერ ასოშიეიტსს" (ს/ნ: 204943357) შორის 2010 წლის 26 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულების 4.4 პუნქტით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობა (საინვესტიციო ვალდებულება).

3. ამ განკარგულების მე-2 პუნქტი ძალაში შევიდეს „ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქ. №34-ის მიმდებარედ არსებული 108000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.18.01.002.260) და ქალაქ თბილისში, ოქროყანის დასახლებაში არსებული 10294 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.18.01.002.263) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 16 ნოემბრის №18.932.1348 განკარგულებისა და ამ განკარგულების საფუძველზე შპს „არმლენდერ ასოშიეიტსთან" (ს/ნ: 204943357) გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების, აღნიშნული კომპანიის მხრიდან, ჯეროვნად შესრულების შემდგომ.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**